დევს არ გამოიღებს. ბუნებრივია, დერბის ფავორიტი “ბარსელონა” რიკარდს ხავეირ სავილას ძირითად შემადგენლობაში დაყენებას სთხოვენ. გამორიცხული არ არის, პოლანდიელმა ხალხის ვედრება შეისმინოს და მართლაც ასე მოიქცეს.

Table with columns: მ, მ, მ, მ, მ, მ. Rows: 1. სევილია, 2. ბარსელონა, 3. რეალი, 4. ვალენსია, 5. ატლეტიკო, 6. სარაოსა, 7. რეპობლიკა, 8. ოსასუნა, 9. ხეტაფე, 10. მასაგო, 11. ვილიარეალი, 12. რასინი, 13. სილბა, 14. დამპტორი, 15. ბილბაო, 16. ბილბაო, 17. ლეგანესი, 18. ბეტისი, 19. სოსილაი, 20. ნიმანსაი.

მოსალოდნელი ტრანსფერი არაბმა შეიხმა რონალდო ლივერპულში ისურვა

ქსანური და იტალიური მედია რონალდოს “მილანში” ტრანსფერს ელის. “გაძედა დელო სპორტი” წერს, რომ საკითხი დღეს არ ხვალ უნდა გადაწყდეს. ბარსელონური “დიარიო სპორტი” კი არ გამოიციხავს, მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდეს. მოგახსენებთ, დუბაის ამირა შეიხი მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაქთუმი “ლივერპულს” შესაძენად ემზადება. მოლაპარაკებები 450 მილიონიანი გარიგების თობაზე დასკვნით ფაზაშია შესული. თუ გაუთვალისწინებელი არაფერი მოხდება,



რონალდო

ინტარი. ტრანსფერები განჩინის სამი ფაქტორი... და კასანოც იჯარით ნერაქსურში?

რაკელები. მანჩინის სამიზნეა “სუბმარინების” ფლეიმიერი ხუან რომან რიკელმე და “ჯალოროსის” მცველები - ამანტინო მანინი და ფილიპ მესე. რიკელმეს თაობაზე რამდენიმე დღის წინაც ვწერდით. მას “ვილიარეალის” თავაკაც მანუელ პელეგრინისთან პრობლემები აქვს და ახალ სამსახურს ეძებს. რაც შეეხება რომაელებს, მექსეს კონტრაქტი 18 თვეში იწურება. სეზონის ბოლოს მას უკვე შეუძლია სხვა შეთავაზებების განხილვა. მანინის კი ფრანჩესკო ტოტისთან პრობლემების გამო შეუსუსტდა პოზიციები. ესეც ცნობილი ამბავია: ტოტი მანინის იმ დროს დაუბრისპირდა, როცა ანტონიო კასანოსთან კონფლიქტი ჰქონდა,



ხუან რამონ რიკელმე

“ინტარის” ბოსმა რობერტო მანჩინი საზაფხულოდ სამი ფეხბურთელი შეიგულა. მისი მოთხოვნით, “ნერაპურის” დირექტორებმა, გაბრიელე ორიალიმ და მარკო ბრანკამ “ვილიარეალსა” და “რომასთან” წამოინყეს მოლაპარ-



ალექს დელ პიერი

იუვენტუსი. ვარსკვლავი დელ პიერი 500 ლიპი: ალექსი განსაკუთრებული მოვლენაა

დღეს “იუვენტუსი” “ბარის” უმასპინძლებს და სატურნირო ცხრილის სათავეში პოზიციების გამტკიცებას შეეცდება. ამ შეხვედრას ალექს დელ პიერისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თავად განსაჯეთ: ტური-ნელთა კაპიტანი მე-500 მიორგებს “ქალბატონის” მაისურას. 32 წლის თავდამსხმელი “იუვეში” მე-14 სეზონს ატარებს. ის ერთ-ერთი იყო იმ ვარსკვლავთაგან, რომლებიც შერცხვენილ “ბიანკონერის” ულაპარაკოდ გაჰყვინენ სერია B-ში. დელ პიერი სწორედ ქვედა დივიზიონში გახდა “იუვენტუსის” ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. და აი, დღეს ის კიდევ ერთ ღირსშესანიშნავ ზღურბლს გადააბიჯებს. იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მარჩელო ლიპი ალექსისთვის ქების სიტყვებს არ იშურებს: “ის განსაკუთრებული მოვლენაა. ერთეულებმა მიაღწიეს 500-მატჩიანი ნიშნულს “იუვენტუსის” შემადგენლობაში, აღარაფრს ვამბობ ამ კლუბის მაისურით გატანილ 203 გოლზე. როცა ვინმე “იუვეზე” ფიქრობს, მას უმად დელ პიერი ახსენდება. ის მთელი იტალიური ფეხბურთის სიმბოლოა და ნამდვილი ლიდერია. ალექსმა ლიდერის თვისებები მხოლოდ ჩემპიონატზეც წარმოაჩინა.”

მესხეაანი შალკეში, ალთინოვი?

“შალკს” არმიხილი მცველის, შაიკო ვესტერმანის შექენა სურს. ეს ინფორმაცია გელზენკირხენელთა გენერალურმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა გაავრცელა. “შალკესთან” ბრაზილიელი გუსტავოს შემცვლელს ეძებენ. ვესტერმანის ხელში ჩაგდება მათ მეზობელ “დორტმუნდსაც” სურს. 23 წლის ფეხბურთელს ბილფელდურ კლუბთან კონტრაქტი 2008 წელს უმთავრდება. “არმიხია” მას 5 მილიონ ევროდ აფასებს. ამასობაში, მიულერმა ნახევარმცველ შამით ალთინოვს მოსაფიქრებლად ორთვენახევარი მისცა. თურქმა ფეხბურთელმა მარტინ ბოლომდე უნდა გადაწყვიტოს, “შალკესთან” ახალ კონტრაქტს გააფორმებს, თუ “ვალაფარაში” წავა. “შალკესთან” არ მალავს, რომ ალთინოვის შენარჩუნება უნდათ, მაგრამ თუ ფეხბურთელს “ფელტინს არენაზე” დარჩენა აღარ სურს, მის სარდინად გაყიდვას ეცდებიან.

ლიუზაო დააპატიმრეს


“ბენფიკის” მცველ ლუიზაოს 40 საათის განმავლობაში საზოგადოებისთვის სასარგებლო სამუშაოს შესრულება მოუწევს. გასულ უქმეებზე 25 წლის ბრაზილიელი ლეგიონერი ლისაბონის პოლიციამ საკუთარი ავტომობილის საჭესთან დააპატიმრა. მის სისხლში ალკოჰოლის აკრძალული რაოდენობა აღმოაჩინეს. ლუიზაოს დაუყოვნებლივ ჩამოართვეს მართვის მოწოდება და წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. პორტუგალიის კანონმდებლობით, მსგავსი დარღვევისათვის მოქალაქეს მართვის უფლების სამი წლით ჩამორთმევა ან ერთწლიანი პატიმრობა ემუქრება.

ლოზონი ფორაბიანიდან მიღის

რუმინეთის ნაკრების მეკარე ბოგდან ლობონტი სამშობლოში ბრუნდება. უახლოეს დღეებში ის “ფიორენტინას” დატოვებს და ბუქარესტის “დინამოსთან” სამწლიან კონტრაქტზე მოანერგს ხელს. დაუზუსტებელი ინფორმაციით, დინამოელები 500 ათასი ევროს გადაიხდიან. ლობონტი წლიურად 320 ათას ევროს მიიღებს და რუმინული ლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება. ბოგდანი ბუქარესტელთა ღირსებას იცავდა. “დინამოს” გარდა, მას თანაქალაქელ “რაპიდსა” და ამსტერდამის “აიაქსში” უთამაშია. რუმინეთის ნაკრებში ლობონტს 50 მატჩი აქვს ჩატარებული.


მანჩესტერ იუნაიტედი კალინიჩენკო 6 მილიონად ვიდიჩის შეხვედრა მეორე სპარტაკელი ოლდ ტრაფორდზე?

“მანჩესტერ იუნაიტედი” მოსკოვის “სპარტაკიდან” შეიძლება, კიდევ ერთი ფეხბურთელი იყიდოს. საუბარია უკრაინის ნაკრების ნახევარმცველ მაქსიმ კალინიჩენკოზე, რომელიც “მენიუს” სერბი მცველის, ნემანია ვიდიჩის (ისიც მოსკოვიდან ნაიყვანეს) მეგობარია. “სპარტაკმა” 27 წლის კალინიჩენკოს სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანჯა მოითხოვა. ტრანსფერის შემთხვევაში, ფეხბურთელი ჩემპიონთა ლიგაში ვერ ითამაშებს, რადგან ამ ტურნირში სახალხო გუნდის მაისურით იასპარეზა.



მაქსიმ კალინიჩენკო

“იუნაიტედი” კონტრაქტი გაუფორმა ჩინეთის ნაკრების თავდამსხმელ დონ ფანჯოუს. ის ეშმაკებთან 2010 წლამდე დარჩება. “მენიუმ” დონი 2004 წლის ზაფხულში იყიდა, მაგრამ ფეხბურთელმა ბრიტანეთის სამუშაო ვიზა ვერ მიიღო და “ანტვერპენში” გაანათხოვრეს. ჩინელმა ლეგიონერმა ბელგიაში 61 მატჩი ჩაატარა და 35 გოლი შეაგდო. ამ დღეებში მას, როგორც იქნა, ბრიტანეთში მუშაობის ნება დართეს და სასწრაფოდ მანჩესტერს მიამხურა. დონს 21-წლიანია მისი ულაპარაკოდ გაჰყვინენ “იუნაიტედის” შემადგენლობაში ოფიციალური მატჩი ვერ არ გაუმართავს.



ლენარტ იოჰანსონი

# იოჰანსონმა და კლატინი დასსხეს... ახალგაზრდა ფრანგი მოხუც შვედს უმოქმედობას უწუნებს და პრეზიდენტად არჩევის შანსსაც უარყოფს, ჩეხეთის ლიგის ფორმის შეცვლას გეგმავს



მიშელ პლატინი

26 იანვარს უფასო კონგრესი ძველ ან ახალ პრეზიდენტს აირჩევს. მოხუცი **ლენარტ იოჰანსონი** თუ ახალგაზრდა **მიშელ პლატინი**? ასე იდგება საკითხი დიუსელდორფის თავყრილობაზე. პრეზიდენტობის კანდიდატები დარჩენილ დროს ქულებს (შესაბამისად, ხმების) მოგროვებაში ატარებენ. პლატინის მთავარი დასაყრდენი ნაკლებად აღინიშნა ერთგული ასოციაციები. მან უკვე ნამოყვინა იდეა ჩემპიონთა ლიგის ფორმის შეცვლასთან დაკავშირებით. მისი გეგმა პატარა ქვეყნებისთვის მეტ ხელშეწყობას ითვალისწინებს. მოსიე მიშელი მიიჩნევს, რომ წელმოკლე კლებებს ლიგაში კვოტა უნდა გაეზარდოს, რაც პატარა ქვეყნებში ფეხბურთის განვითარების წინაპირობა იქნება.

კეთილი და პატიოსანი, ეს საქართველოს ნისქვილზეც ასხამს წყალს, მაგრამ გვეჩვენება, რომ იდეა, ცოტა არ იყოს, პოპულისტურია და ჩვეუ-

ლებრივ ქულების მოგროვებაზე გათვლილი. რა ძნელი მისახვედრია, რომ მთავარი საკლუბო ტურნირისთვის ფორმის შეცვლის მცდელობაც კი უფასო სერიოზულ განხილვას გამოიწვევს. პლატინის იდეით, ცვლილება გრანდების ხარჯზე უნდა მოხდეს. ახლა კი ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ესპანეთი, იტალია, ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი ამას უსიტყვოდ შეეგუებიან. ჩემპიონთა ლიგა ფულის დიდი ტომარაა, ტომარა, რომელსაც წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი მოგება მოაქვს. ამ მოგებას სწორედ გრანდები განაპირობებენ და ეს არავისთვის საკამათო არ არის. უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ პლატინის გეგმა ჩანასახშივე მკვდარია, თუმცა კი, ვიმეორებთ: ფორმის შეცვლა-გამარტივებას საქართველო ორი ხელით მიესალმება და ამიტომ, **წოდარ ახალკაცი** 26 იანვარს პლატინის დაუჭერს მხარს...

გუშინ პლატინის გეგმა მისმა კონკურენტმა გააკრიტიკა. თავის მხრივ, იოჰანსონმა პირობა მისცა მხარდამჭერებს (მათ შორის, ეგრეთ წოდებულ ბობოლა ქვეყნებს), რომ ჩემპიონთა ლიგის ფორმის შეცვლა არ ხდებულა:

„არაფრის შეცვლა არ ვაპირებ იმ შეჯიბრებაში, რომელიც ესოდენ წარმატებულია როგორც სპორტული, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. უბრალოდ, ამისთვის საფუძველს ვერ ვხედავ. თქვენ შეგიძლიათ, ჰკითხოთ პლატინს, რა მიზნით აპირებს ფორმის შეცვლას. ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტრანსლაცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხდება და სპორტის სხვა სახეობები დიდ ხანია, ცდილობენ მოგვაბოძონ ამ საქმეში“.

იოჰანსონის თქმით, არჩევნებში მისი მონაწილეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ევროპის საფეხბურთო ოჯახში ერთიანობის შენარჩუნებაა. ის

თვლის, რომ პლატინის გეგმები ამ ერთიანობას წყალს შეუყენებს. თავის მხრივ, პლატინი მიიჩნევს, რომ 77 წლის შვედი, ასაკიდან გამომდინარე, აქტიური არ არის, რაც ფეხბურთის წინსვლას სერიოზულად აზარალებს. ის აპირებს, რომ უფასო „მოქმედი“ პრეზიდენტი იყოს. ამასთან დაკავშირებით, იოჰანსონი დასძინა:

„ბევრს ვმუშაობდი იმაზე, რომ გარკვეული მიზნებისთვის მიმეღწია. ერთ-ერთი მათგანი ისაა, რომ მომავალშიც გაუფართოვო უფასო პრეზიდენტის როლი, როგორც ადამიანისა, რომელიც გადამწყვეტილების მიღებამდე სხვების აზრსაც ისმენს და ყოველდღიურად არ ერევა ორგანიზაციის საქმეებში. მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი მიდგომით გახდა უფასო მძლავრი და ყოველმხრივ მოწესრიგებული ორგანიზაცია. ასე ვაპირებ მუშაობას მომავალში“.

## ინტერვიუ კარლოს ლუნასთან

# ნამდვილ სალესაოს დაპაბრუნება

**ბრაზილიის ნაკრებმა შარშან ზაფხულში დიდი სირცხვილი ჭამა. მსოფლიოს ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად შერაცხული სამხრეთ ამერიკელები, მუნდიალს მეოთხედფინალიდან გამოეთიშნენ. ამბობენ, რომ გასულ წელს გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ, „სელესაოს“ ძირითადი ცვლილებები დაინიშნა. ამ ცვლილებებს კი, სათავე ახალმა მწვრთნელმა, კარლოს ლუნამ დაუდო. ბრაზილიელებმა ვერძალად დაინიშნეს კაცი, რომელსაც არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ ჰქონდა. ლუნას გერმანული „შპორტ-ბილდ“ გაესაუბრა.**

- დიას, რა თქმა უნდა. როცა დავინიშნე, ცხადი გახდა, რომ ჩემი შტაბი თვითონ უნდა შემექმნა და იმ ხალხით დამეკომპლექტებინა, ვისაც ვენდობოდი. პირველად სწორედ ჟორჟინიო გამახსენდა და სიმართლე გითხრათ, ბევრი არც მიიფერია. ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად ვუგებთ. მე მას ვენდობი, ძალიან გულახდილი პიროვნება და ჩინებული პარტნიორია. მასში ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ ყველაფერზე თავს კი არ მიქნევს, როცა განსხვავებული აზრი აქვს, მეკამათება კიდევ და ჩვენი დისკუსია ხშირად საათები გრძელდება ხოლმე. პროფესიონალია და შესანიშნავი ხედვა აქვს.

- თქვენგან მანსხვავებით, ჟორჟინიოს ადრეც უშუალოდ მწვრთნელად და ამ მხრივ თქვენზე მეტი გამოცდილება აქვს...

- ასეთ დეტალებზე არცერთი არ ვფიქრობთ. ჟორჟინიო ყველაფერში მაგრად მეხმარება, ვიდრე ჩანანერებს უყურებს, თითოეულ ფეხბურთელს დანერდობს იკვლევს და ა.შ. რაც შეეხება, მოთამაშეების გამოძახებას: ამაზე მხოლოდ მე ვმუშაობ. მხოლოდ მე ვწყვეტ, ვინ უნდა ითამაშოს ბრაზილიის ნაკრებში.

- თქვენი მდგომარეობა ძალიან ჰგავს იურგენ კლინსმანის იმდროინდელ მდგომარეობას, როცა ის გერმანიის ნაკრებში დაინიშნა. კლინსმანმა ბუნდესგუნდში ძალიან ბევრი სახსლე დაამკვირდა. მაგალითად, თავის ფეხბურთელებს ნაკრებში გამოძახებას ელექტრონული ფოსტით აცხობინებდა ხოლმე. თქვენც ასე ხომ არ იქცევით?

- ნაკრებში გამოსახსნელები ფეხბურთელები სიას პირველად ყოველთვის ჟორჟინიოს ვაცნობ. ამის თაობაზე ფეხბურთელებს პირადად მე არასდროს ვატყობინებ. თითოეული მოთამაშე საფეხბურთო კავშირისგან იღებს შეტყობინებას, რომელიც ყველა აცნობებს, რომ „სელესაოს“ გამოძახებული. ეს თამამადე ორი კვირით ადრე ხდება. თუმცა, მე არ ვარ დისტანციური. თითოეულ მოთამაშეს აქვს ჩემი ტელეფონის ნომერი და შეუძლიათ, ნებისმიერ დროს დამირიკონ, თუკი ამას საჭიროდ ჩათვლიან და თუკი რამე დასჭირდებათ. მაგრამ ჯერ ასეთი რამ არ მომხდარა.

- მსოფლიო ფეხბურთის ამბებს როგორ იგებთ?

- ტელევიზორს ვუყურებ, გამონერვილი მაქვს „როიტერის“ მასალები, ვკითხულობ სპორტულ გაზეთებს.

- გყავთ თუ არა სკაუტი ან სკაუტთა ჯგუფი, რომელიც ევროპაში ბრაზილიელი ფეხბურთელების თამაშებს დაესწრება და ყველას დააკვირდება?

- არა.

- საინტერესოა, რა რჩევა-დარიგებებს აძლევთ ხოლმე ფეხბურთელებს, რის მიხედვით ანვობთ ტაქტიკას და ა.შ.

- გააჩნია, ვინა ჩვენი მეტოქე. არ მაქვს ერთი კონკრეტული ტაქტიკა, რომელზეც ვიტყვი, რომ ის ჩემთვის უსაყვარლესი და ყველაზე წარმატებულია. ასეთი რამ არ არსებობს. სტრატეგიას მეტოქიდან გამომდინარე ვირჩევ. გააჩნია, რა სისუსტეები აქვს ჩვენს მონინაალმდეგებს. ბევრი ფიქრობს, რომ „სელესაოს“ კიდევ მოხდება დიდი ცვლილებები. ეს ასე არ არის. მომდევნო ტესტ-მატჩებში მაქსიმალურად შევეცდები, გავიგო, რამდენად კარგად მომყვება ის კონტიგენტი, რომელსაც აქამდე ვირჩევდი და ვენდობოდი. ბრაზილიის ნაკრებმა თავი შეირცხვინა, იმიჯი შეილახა და თავს ლაფი დაისხა – მინდა, ნამდვილი „სელესაო“ დავაბრუნო!

- ვინ იფიქრებდა, რომ ასე მალე გამოეთიშებოდა მსოფლიოს ჩემპიონატს...

- ეს მთელი ქვეყნისთვის ფიასკო და უდიდესი იმედგაცრუება იყო. თითქმის ყველა ბრაზილიელი ფეხბურთით ცხოვრობს და ასე განსაჯეთ, მე უფრო მეტს მთხოვენ, ვიდრე ქვეყნის პრეზიდენტს. ჩვენი ხალხისთვის ფეხბურთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკა ან ეკონომიკა. შესაბამისად, წნეხიც უმძიმესია. ყველა ხელეშში მიყურებს, ჩემს თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებენ და ა.შ. ვერ ვიტყვი, რომ ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელობა ილიაა, მაგრამ შიში კი არაფრისა მაქვს.

- რომელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ფეხბურთელი იმისთვის, რომ თქვენს სიაში მოხვდეს?

- პირველ რიგში, დარწმუნებული უნდა ვიყო მის შესაძლებლობებში, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არაა საკმარისი. არის კიდევ ერთი რამ და კერძოდ, ნდობა. ფეხბურთელს უნდა ვენდობოდე! ამიტომაცაა, თითოეულ მოთამაშეს ყველა ნაბიჯს რომ ვუკონტროლებთ. იმისათვის, რომ ფეხბურთელმა

ჩემი ნდობა მოიპოვოს, დიდი ანალიზია საჭირო. ბევრი ფიქრობს, ლუნგამ ის ფეხბურთელები უნდა გამოიძახოს, ვისაც იმ კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მეტი გოლი გააქვსო. ეს შეცდომაა. მოთამაშე მენტალურადაც მზად უნდა იყოს ნაკრებში სათანამოდ. ის უნდა ამყობდეს იმით, რომ „სელესაოს“ გამოიძახეს. სამწუხაროდ, ბოლო დროს ზოგჯერ ფეხბურთელები ამით აღარ ამყობდნენ. კონკრეტულ გვარებს არ დავასახელებ.

- ამბობენ, რომ სპონსორები ყოველთვის ახდენენ გავლენას შემადგენლობის შერჩევაზე. მაგალითად, იტალიელი ხართ თუ არა, რომ ფეხბურთელების სიის შედგენისას, „ნაიკის“ სურვილები გაითვალისწინოთ?

- არა, ეს შეცდომაა. „ნაიკს“ ბრაზილიელი ფეხბურთელები უმრავლესობასთან კერძო კონტრაქტები აქვს, მაგრამ ხომ გითხარით, ჩემს საქმეში ცხვირს ვერავინ ჩაყოფს. ვიცი, ჟურნალისტებს ძალიან უნდათ, რომ მწვრთნელები მარიონეტებად გამოვიყვანო. ჩვენი ფორმულია ძალიან მარტივია: მართვა-ბრაზილიის საფეხბურთო კავშირი. ტაქტიკა-ლუნგა და ჟორჟინიო. ხომ გესმით, რასაც ვამბობ?

- რა შეიცვალა თქვენს ცხოვრებაში მას მერე, რაც ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი გახდით?

- ყველაფერი. თავისუფალი დრო ჩემთვისაც კი აღარ მაქვს, არათუ ოჯახისთვის ან მეგობრებისთვის. თუმცა ისინი კარგად მიგებენ და იოლად მპატიობენ იმას, რომ მათთან ბევრ დროს ვეღარ ვატარებ. თავად განსაჯეთ, ძალიან ბევრი საქმე მაქვს და ყველაფრის კოორდინირება არც ისე იოლია. ცოტა ხნის წინათ იაპონიაში ვიყავი, ახლა თქვენთან ერთად ვზივარ, ხვალ ჩილეში უნდა წავიდე. აი, ასეთი ყოველთვის.

- ცნობილი ფაქტია, რომ ჟურნალისტებთან მაინც და მაინც კარგი ურთიერთობა არ გაქვთ და რომ ინტერვიუების ჩამორიგება არ გიყვართ. რატომ?


- რამდენადაც ცოტას ილაპარაკებ, მით უკეთესია. გარდა ამისა, ნამდვილად არა მაქვს იმის დრო და სურვილი, რომ მთელი დღის განმავლობაში ჟურნალისტებს ვხვდებოდე და მათ სტანდარტულ კითხვებს ვასაუბობდე. ეს ხომ ნერვებს დამაწყვეტს. ჩემს დროს და მთლიანად ჩემს თავს „სელესაოს“ ვუძღვნი. ზოგჯერ ჟურნალისტები ძალიან მიბრაზდებიან ხოლმე, მაგრამ რა ვქნა, ეს ნაკლებად მაძარდებს. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე – მიუხედავად პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილებისა, მათ მაინც გულახდილად ვესაუბრები ხოლმე. ზოგჯერ ისეთ რალაცებებსაც ვუბამობ, რაზეც წესით არ უნდა ვლაპარაკობდე. თუმცა უფრო ყურადღებანი გავხდი, იმ მხრივ, რომ ინტერვიუებს იშვიათად ვიძლევი.

- ბრაზილიელი ჟურნალისტები იმასაც კი აქცევენ ყურადღებას, როგორ და რას იცვამთ...

- ხალხი ფიქრობს, რომ მწვრთნელს ყოველთვის კოსტიუმი უნდა ეცვას და პალსტუხი ეკეთოს. მე უფრო მსუბუქი სტილი მაქვს. ჩემი ქალიშვილი გაბრიელა მომავალი დიზაინერია და კარგ რჩევა-დარიგებებს მაძლევს ხოლმე. მოდამი გამარჯვია.

- პორტო ალგარეში არის გაჭირვებული უბანი. ცნობილია, რომ თქვენ იქ ხშირად დადიხართ. არ გეუბნიათ, რომ დაგაყარალებენ?

- არა, იმიტომ, რომ მე მათ ვეხმარები და ვიცი, არაფერს დამიზვევენ. ამიტომაცაა, იმ უბანში თავისუფლად რომ დავდივარ.



კარლოს ლუნგა

გოტფრიდ ლენცი

ბარსელონა

# აბრაამოვიჩი არ ისვენებს

## ჩელსის მებატონე ბრაზილიელი ბენიოსის ხელში ჩასაგდებად უპრეცედენტო თანხას აზღაურებს...

რონალდინიო ევროპული გრანდების ყველაზე სასურველი და საოცნებო ფეხბურთელია. "ბარსელონის" ხელმძღვანელობას არაერთხელ უთქვამს, რომ ბრაზილიელს არაერთხელ შემთხვევაში არ გაყიდის. ასეთი კატეგორიულობის მიუხედავად, ფულიანი პრეზიდენტები არ ისვენებენ. გაუჩნდა გადაბირებაზე სილიო ბერლუსკონი, მასიმო მორატი და რომან აბრაამოვიჩი ოცნებობენ, თამაზად შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად "ჩელსის" მილიარდერი მუბარხონე აქტიურობს. "დეილი მირორის" ინფორმაციით, რუსი ოლიგარქი მიზნის მისაღწევად 75 მილიონ ფუნტს გადაიხდის. უნდა მოგახსენოთ, რომ ფეხბურთის ისტორიაში ამხელა თანხა არც ერთი ფეხბურთელის სანაცვლოდ არ გადაუხდიათ. ინგლისური გამოცემა გვარანტუნებს, რომ აბრაამოვიჩის განზრახვა არც ყოფილა და არც ხუმრობა.

"დეილი მირორის" მიერ წამოწმებული თემას კატალონიაშიც გამოეხმაურნენ. "დიარიო სპორტის" კორნელონდენტი ნერს, რომ "ჩელსის" გაქტიურების შესახებ ყველაზე ადრე რონალდინიოს მენეჯერებმა და ჩიკი ბეგერისტიანიმა შეიტყვეს. "ბარსას" გენერალური დირექტორი, რა თქმა უნდა, წინააღმდეგია. ის ხოან ლაპორტას შეხვდა და სამომავლო სამოქმედო სტრატეგიაზე მოეთათობა.

"ბარსელონას" რონალდინიოს შესანარჩუნებლად შესაძლოა, მისთვის ხელფასის მომატება მოუხდეს. გამოცემის თანახმად, რომ "ჩელსის" გაქტიურების იმპან კრიფთან სერიოზული საუბრის გამართვამაც მოუწიოს. მორალური ხმების თანახმად ლეგენდარული პოლანდიელი გაუჩნდა დაუპირისპირდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კრიფს კატალონიურ საფეხბურთო წრეებში დიდი გავლენა აქვს. მფრინავი პოლანდიელი თურმე გაიძახის, რომ გაუჩნდა ვარსკვლავის ავადმყოფობა შეეყარა და დაკარგულ მოვალეობებს პირნათლად ვეღარ ასრულებს. ბუნებრივია, პოლანტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ასეთ თავდასხმებს ვერ მოითმენს. თუ "ბარსელონას" ამ დიადი კაცის შენარჩუნება სურს, ბეგერისტიანიმა და ლაპორტამ კრიფს ენა უნდა ჩააგდებინონ. თუ ისინი ამას ვერ შეძლებენ, "ჩელსის" მიზნის მიღწევა გაცილებით გაუადვილდება. ესპანეთის ჩემპიონებმა

რონალდინიოც არ უნდა თქვან, საუკეთესო ფეხბურთელს არ ყვიდით, მრავალათეულმილიონიან შეთავაზებასთან გამკლავება გაუჭირდებათ. მონათმფლობელი ნიუბოლინა ისტორიის კუთვნილებაა, ამიტომ გენიალურ ბრაზილიელს ვერავინ დააკავებს. ის ახლა "ბარსელონას" სიყვარულსა და ერთგულებას უტყუდება, მაგრამ ბრიტანელი ჟურნალისტები გვარანტუნებენ, რომ კრიფი მას ყელში ამოუვიდა. მორალური ხმების თანახმად, ბრაზილიელს უთქვამს, მას თუ არ მომპოვებენ და დამსვენებენ, წასვლაზე სერიოზულად დაფიქრდებიან.

ამასობაში, ლონდონ მესიმ მასიმო მორატის შეთავაზებას უპასუხა. შეგახსენებთ, რომ "ინტერის" მებატონემ ახალგაზრდა არგენტინელის გადაბირების სანაცვლოდ 100 მილიონი ევროს გადახდის მზადყოფნა გამოთქვა. მორატიმ არ დამალა, რომ ახალი გუნდის მშენებლობას იწყებს და მესის საკვანძო ფიგურად მიიჩნევს.

არგენტინელმა იტალიელ ნავთობმაგნატს დაახლოებით ორკვირიანი დაგვიანებით უპასუხა: "ჩემთვის საამაყო და სასიამოვნოა, რომ ისეთი დიდი გუნდი, როგორც "ინტერია" სერიოზულ დაინტერესებას გამოთქვამს. მასიმო მორატი საფეხბურთო სამყაროში კარგად ნაცნობი ადამიანია. მას ყველა პატივს სცემს. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, თუმცა მე "ბარსელონის" ფეხბურთელი ვარ. ამით ალბათ, ყველაფერი ნათქვამი. "ბარსა" პლანეტის საუკეთესო გუნდია. გარდა ამისა, ქალაქიც უზომოდ მომწონს. მოკლედ, აქ უარესად ბენედიკტო ვცხოვრობ და სხვაგან წასვლა არ მინდა. "ბარსაში" რომ არ ვასპარეზობდე, სინიორ მორატის წინადადებაზე სერიოზულად დაფიქრდებოდი. ახლა კი საფიქრალიც არაფერია. "ბარსელონას" არაფერზე გავცვილი."

სავიერ სავიოლა ბოლო დღეების გმირია. არგენტინელმა ფორვარდმა სამი გოლი გაიტანა და გულშემოტიკრები აღაფრთოვანა. ინჩასები კატეგორიულად ითხოვენ, რომ ბაჭისა ხელშეკრულება გაუგრძელონ. საზოგადოების შეკვეთას ხელმძღვანელობა უმალ გამოეხმაურა და მოსაზრება გულწრფელად გამოთქვა. კატალონიური გიგანტის მმართველები სავიოლას თამაშით უზომოდ კმაყოფილები



რონალდინიო

არიან და გამოთქვამენ მზადყოფნას ახალ კონტრაქტზე იმსჯელონ, თუმცა მაგიდასთან მისხდომას ახლავე არ აპირებენ. ბეგერისტიანი ფიქრობს, რომ ხელშეკრულების გახანგრძლივება ხაიერს მოტივაციას დააკარგვინებს. სენიორ ჩიკი პირდაპირ ამბობს, თუ მომავალშიც ასევე კარგად იასპარეზებს, არანაირი პრობლემა არ იქნება.

თავის მხრივ, ბაჭიც არ ჩქარობს. არგენტინელი "ბარსელონას" სიყვარულში კიდევ ერთხელ გამოუტყდა, მაგრამ იქვე დასძინა, ჯერჯერობით ამ საკითხზე არ ფიქრობს, რადგან წინ საკმაოდ დრო მაქვსო. სავარაუდოა, რომ ხაიერი უკან დასახე გზას იტოვებს. მისი გადაბირების სურვილს "იუვენტუსი" გამოთქვამს. "ბარსაში" სიტუაცია უკეთესობისკენ კი შეიცვალა, მაგრამ სამომავლო გარანტიებს მას ვერავინ აძლევს. ასე რომ, თუ კონტრაქტს ახლავე გაახანგრძლივებს, შესაძლოა, ცხოვრება გაირთულოს. ანუ, "ბარსელონაში" კვლავ სათადარიგოთა სკამზე დარჩეს, "იუვენტუსში" კი სატრანსფერო თანხის გადახდა არ ისურვოს. სეზონის დასრულების შემდეგ "ბებერ ქალბატონს" ხომ მისი უფასოდ გადაბირების შესაძლებლობა აქვს.

ილია ნიკოლაივილი



მადრიდის "რეალმა" მორიგი კრახი განიცადა. ხუთშაბათს ფაბიო კაპელოს მიჭები ესპანეთის სამეფო თასის შეხვედრაში "ბეტისის" დაუპირისპიდნენ და ფრე იმარეს (1:1). მონინააღმდეგის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით, ანდალუსელები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ. სამეფო კლუბმა კი ამ ტიტულის მოპოვების შანსი დაკარგა. არადა, ვარსკვლავთა დიდი ნაწილი ამაყად ამბობდა, სამეფო ფრონტზე უნდა გავიმარჯვოთ. მათ შორის იყო რობინიოც. ახალგაზრდა ბრაზილიელი "ბეტისთან" განცდილმა წარუმატებლობამ, ფაქტობრივად, სასონარკვეთილებამდე მიიყვანა.

- ასეთ მარცხს არ ელოდი?  
- არ წავიგია, თუმცა ფრეც მარცხის ტოლფასი აღმოჩნდა. თამაშის წინ ყამზე, რა თქმა უნდა, არავინ ფიქრობდა. მატჩის მსვლელობამ დაგვანახა, რომ გაცილებით უკეთ ვითამაშობდით. საგოლე მომენტებიც უხვად შევქმენით. ვგონებ, ყველას დავუმტკიცეთ, რომ მადრიდის "რეალს" პროგრესის გზით სიარულის უნარი შესწევს. ცხადია, მომდევნო ეტაპზე გასვლა გვინდოდა, მაგრამ სასტიკად არ გავიძინებოდა და ბრძოლა შევწყვიტეთ. საშინელებაა. შედეგი უსამართლოა, ჩვენ მომდევნო ეტაპზე თამაშს ვიმსახურებდით.  
- არ მოგებრდათ?  
- რა?  
- არ მოგებრდათ სისტემატურად თავის მართლება და უიღბლობაზე აპელირება?

- თავს არ ვიმართლებ. უბრალოდ, გულწრფელად მოგახსენებთ, რომ "რეალმა" "ბეტისზე" უკეთ იასპარეზა და ფლეი ოფის მომდევნო ეტაპზე გასვლას იმსახურებდა. უადრესად დამსუბრუნებულნი ვახსლავართ, მაგრამ ამაფედროულად მიხარია, რომ გუნდი პროგრესირებს.

- შეხვედრის მინურულს გოლის გატანა შეგეძლო...  
- დიახ, თითქოს ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოვჩნდი. სამწუხაროდ, ჩემს წინ უამრავი ადამიანი აღმოჩნდა. ყველა გადამელოდა და გოლის გატანა ვეღარ შევძელი. ძალიან გავმწარდი. დამიჯერეთ, შესაშური მონდომებითა და შემართებით ვითამაშობდი. თავს არავინ ზოგავდა. იმედია, მომდევნო პაექრობებშიც ასევე კარგად ვიასპარეზებთ. არ დამცინოთ, ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებიდან გამოვარდნის მიუხედავად, მიმანჩია, რომ "ბეტისთან" კარგად ვითამაშეთ. მსურს, გუნდმა ეს რიტმი მომავალშიც შეინარჩუნოს. თუმცა კარგი იქნება, ამ ყველაფერთან ერთად იღბალმაც გამოგვხედოს.

- გულშემოტიკვართა აზრით, მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. როგორ ფიქრობთ, არბიტრი უსამართლოდ მოგაყვროს?  
- რა თქმა უნდა. 100-პროცენტითა პენალტი არ მოგვეცეს. დარწმუნებული ვიყავი, რომ მსაჯი დაუსტვენდა. ის ძალიან ახლოს იყო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. არადა, რომ არ წავეცი, მარცხენა ფეხით დავარტყამდი და აუცილებლად გავიტანდი. შემდეგ თამაშარეს გამო ორი გოლი არ ჩავგივთვალეს. მოკლედ, ძალიან დავიჩაგრეთ. გულწრფელად გეტყვით, ვფიქრობდი, რომ თამაშპარებთან მიმართებაში მსაჯები მართლები იყვნენ, თუმცა

ინტერპიუ რობინიოსთან

# რონალდო დარჩება თუ ნავა, მაინც არსად დაიქარება

## რობინიო თანაგუნდელთა საპროტესტო შეხვედრას პირადი მიზეზების გამო ვერ დაესწრო, პრესა კი ფიქრობს, რომ ის ხელმძღვანელობასთან ბართულებას მოერიდა

მოგვიანებით სათადარიგოთა სკამზე მჯდომმა თანაგუნდელებმა მითხრეს, რომ ისინი ამ შემთხვევაშიც შეცდნენ.

- კვირას "მალიორკასთან" პაექრობა გელით. მზად ხართ ამ თამაშისთვის?  
- დიდი იმედაცრუების მიუხედავად, ვალდებულები ვართ, ყველაფერი დავიგინოთ და მხოლოდ "მალიორკაზე" ვიფიქროთ. ახლა ფინალიც ეს არის და უბრალო პრიმერადივიზიონური შეხვედრაც. ვფიქრობ, სწორედ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ. მჯერა, ბალეარელებთან ბრძოლაში ყველა საუკეთესო თვისებას გამოვავლენთ. აუცილებლად მოვივებთ.

- ფეხბურთელები როგორ გრძნობთ თავს? სასონარკვეთილება ხომ არ შეგეყარათ?  
- ჩემს მსაჯსად, სხვებიც დამსუბრუნებულები იყვნენ. ძნელია, შეეგუო, რომ ესპანეთის სამეფო თასზე აღარ ასპარეზობ. მოკლედ, ყველა იმედგაცრუებული დარჩა, მაგრამ ბიჭები ერთხმად აღნიშნავდნენ, ხალხს სურთა სინდისით შეგიძლია ვესაუბროთ, რადგან გუნდმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მათ აბსოლუტურად ვეთანხმები. სამეფო კლუბს მსოფლიოში ყველაზე მომთხოვენი ქომაგები ჰყავს. საფინანსო სასტევის შემდეგ მათ ტაშით გავაცვილეს. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ეს? ქომაგებმა დაინახეს, რომ კარგად ვითამაშეთ და ტაშის დაკრით მადლობა გადაგვიხდეს.

- რამომ კალდერონის ამასწინანდელმა სკანდალურმა განცხადებამ ფეხბურთელებს ხელი ხომ არ შეუშალა?  
- ჩვენ პროფესიონალები ვართ. ყველაფერი უნდა დავიგინოთ და საკმე ვაკეთოთ. შესაძლოა,

**ბაბაილის მიღწევა**  
ვიტორინი გერმანელი სტელნი შარკუს საიელო, რომელიც ამჟამად "მეტუტგარტის" ლირსებას იცავს, ფიქრობს, რომ ზაფხულში კარიერის დასრულება მოუწევს. 34 წლის ფეხბურთელი, რომელიც გერმანიის ნაკრებშიც თამაშობდა, მიიჩნევს, რომ აქტიური სპორტული კარიერის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში ბაბელი ფეხბურთიდან წავა. „დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, რომ აუცილებლად წავალ. კარიერის გაგრძელებას აზრი დაეკარგა, რადგან სათადარიგოთა სკამზე ჯდომა ჩემთვის ჯოჯოხეთია. თუმცა ისიც ვიცი, რომ სასტარტო შემადგენლობაში თამაშს არ ვიმსახურებ. მწვრთნელს არ ვემდურე და ბუციების ლურსმანზე ჩამოკიდება ამიტომაც გავანწყვიტე.“ - აცხადებს ბაბელი. 1996 წლის ევროპის ჩემპიონი შვაბურ კლუბში ბოლო დროს სულ სკამს ხეხავდა და თამაში იშვიათად უწევს. ბაბელმა უკვე იცის, რას გააკეთებს კარიერის დასრულების შემდეგ: „მწვრთნელის კურსებს ვაივებ და რომელიმე გუნდის დამრიგებელი ვავხდები. სამწვრთნელო კარიერაზე ვოცნებობ. მინდა, რომ მომავალში ბუნდესლიგაში ვიმუშაო.“

## პრაქტიკალიზა: უაღიარესი უაღიარესთა შორის

პრაქტიკალიზამ ტრანსლაციების მორიგი პაკეტი გაყიდა. მომავალი სეზონიდან ოქციანის გაღმა ინგლისის ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის სანაცვლოდაც ლიგის ბიუჯეტი 650 მილიონი გირვანქით შეივსება (დღეს ის 300 მილიონს იღებს). ამას დაუმატოთ 1.7 მილიარდის გარანტირებული შემოსავალი "სქაი სპორტსსა" და "სენტანასთან" შარშან მისში გაფორმებული კონტრაქტებით, აგრეთვე 400 მილიონი, რომელიც ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების ოპერატორები გადაიხდიან და მივიღებთ მსოფლიოს ფეხბურთისთვის უპრეცედენტო შემოსავალს - 2.7 მილიარდ გირვანქას მხოლოდ ტელეუფლებების გაყიდვიდან. პრემიერლიგის მატჩები მსოფლიოს 208 სახელმწიფოში გადაიციმა. ინგლისის პირველობა შემოსავლებისა და დაფარვის ზონის მიხედვით მსოფლიოს არცერთ საფეხბურთო ლიგას არ უთმობს პირველობას. ახალი კონტრაქტის ამოქმედება საპრიზო ფონდის ავტომატურ გაზრდასაც ნიშნავს. კლუბი, რომელიც ოქროს მედლებს მოიპოვებს, 50 მილიონ გირვანქას მიითვლის - 20 მილიონით მეტს, ვიდრე წინა სეზონებში.

ილია ნიკოლაივილი



ინტერვიუ ზინედინ ზიდანთან

# იმაზე მეტს ვიპაღწი, ვიდრე ვოსწავლობდი

## ზინადინ ლეზანდა ფეხბურთში გავლილ გზას იხსენებს

ზინედინ, ფიფას ვერსიით, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონიაზე თქვენი კონკურენტები ფაბიო კანავარო და რონალდინიო იყვნენ. როგორ დაახასიათებდით ამ ორ ფეხბურთელს?

ფაბიო კანავარო მცველია, ნარსულში კი აღიარება, როგორც წესი, ფორვარდებსა და გამთამაშებლებს ხვდებოდათ წილად. კანავარო უდავოდ იმსახურებს საუკეთესო ფეხბურთელის ნიშნებს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დიდებულად გაართვა თავი ტიერი ანრის მეურვეობას. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ კანავარო მსოფლიო ჩემპიონია, რასაც ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს. რონალდინიოს რაც შეეხება, ბევრს ვერაფერს დავამატებ იმას, რაც ხალხმა მის შესახებ უკვე იცის. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია. ამის საუკეთესო ილუსტრირება იყო მისი გოლი „ვილიარეალთან“, როცა „მაკრატელაი“ გაიტანა. ყველაფერი თვლისდახამამებში გააკეთა, მაგრამ თავად ზუსტად იცოდა, რასაც აკეთებდა და ამას სპეციალური ტალანტი სჭირდება. კარისკენ ზურგი იდგა და ის ოსტატურად დატრიალდა, რომ გამიკვირდა, საერთოდ თუ იცოდა, სად იყო კარი. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა, რომ ბრწყინვალე „მაკრატელა“ შეესრულებინა.

2006 წელი თქვენთვის მოვლენებით დატვირთული იყო. რომელი იყო მათგან ყველაზე დასამახსოვრებელი?

ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის დაწყებამდე ცოტა თუ ნარმოიდგენდა, რომ ფინალში გასვლას შევძლებდით და ამან ორმაგად სასიამოვნო გახდა ჩვენი გერმანული თავგადასავალი. ამ შედეგს საკუთარი ძალისხმევით მივაღწიეთ. რომელიმე ერთი ეპიზოდის გამოყოფა გამიჭირდება, მთლიანად მუნდიალი იყო დაუფინყარი. ვიცოდი, რომ კარიერის უკანასკნელ ტურნირს ვატარებდი და ფინალში გასვლა მართლაც საოცარი განცდა იყო, მიუხედავად იმისა, რომ უფრო მხიარულ ნოტაზე ვისურვებდი მის დასრულებას.

როგორი იყო თქვენთვის 2006 წელი ფეხბურთის მიღება?

კარიერის დასრულების შემდეგ იმდენად დაკავებული ვიყავი, რომ სიმართლე გითხრათ, ამაზე ფიქრის დროც არ მქონია. უაღრესად საინტერესო იყო ისეთ ადამიანებთან შეხვედრა, ვისაც ფეხბურთის სამყაროსთან არანაირი შეხება არა აქვს. ამ მხრივ, არ შემიძლია არ გავისხნო ჩემი ვიზიტი ბანგლადეშში. გარდა ამისა, შეხვედრა მქონდა ნობელის პრემიის ლაურეატებთან, მერე კი ისიც მოვახერხე, რომ რამდენიმე დღით ალჟირში ჩავსულიყავი და ჩემი მშობლების ქვეყანას უფრო ახლოს გავცნობოდი.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თქვენმა გაძევებამ ცოტა კი დაჩრდილა სხვა ეპიზოდები, მაგრამ იმ თამაშში ბევრი სხვაც მოხდა, მაგალითად, თქვენი 11-მეტრიანი. როგორ გაიხსენებდით იმ დარტყმას?

წინასწარ დაგეგმილი არ მქონდა, რომ პენალტი მაინც და მაინც ასე ორიგინალურად შემსრულებინა, თუმცა ის კი ვიცოდი, რომ რაღაც განსაკუთრებული მჭირდებოდა. პენალტების შესრულებისას ბურთს, როგორც წესი, ერთსა და იმავე კუთხეში ვურტყამ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემს წინაშე იდგა მეკარი, რომელიც, ბარტეზთან ერთად, მსოფლიოში საუკეთესოა. გატანა განს-

ხვავებულად უნდა მეცადა და როცა ბურთი ნიშნულზე დავდე, მაშინ გადაწყვიტე, რომ ორიგინალურად დამერტყა. თვალნათლივ დავინახე, რომ ზედა ძელზე შეხების შემდეგ ბურთი კარის ხაზის უკან დავეცა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი ის იყო, როცა თქვენი თავური დარტყმა ბუფონმა ბრწყინვალე ნახტომით მოიგერია.

თავი ვერ შევიკავე და მთელ ხმაზე დავიყვირე, როცა ბუფონმა ის ბურთი აიღო, რადგან ვიცოდი, ის ბურთი კარში რომ გასულიყო, მსოფლიო ჩემპიონები ჩვენ გავხდებოდით. დრო ბევრი აღარ იყო და ფეხბურთელებსაც სულ უფრო ნაკლები ენერჯია რჩებოდათ. ჩემი განბილება ბუფონზე ამოვანთხიე, მაგრამ მეგობრულ ტონში, იმიტომ, რომ მას კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ კარგი ბიჭია. ის ძალიან თბილად მეპყრობოდა მას შემდეგაც, რაც მსაჯმა ნითელი ბართი მიჩვენა, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ჩემი გაძევებით ნასიამოვნები დარჩა, რადგან იცოდა, რომ 11-მეტრიანების სერიაში კიდევ ერთხელ მოუწევდა ჩემთან პაექრობა. თუმცა იმას ნამდვილად ვერ გეტყვით, მოედანზე რომ დავრჩენილიყავი, მომდევნო პენალტს როგორ შევასრულებდი.

სად და როგორ უყურეთ ფინალის დარჩენილ დროს?

გასახდელში. უმძიმესი განცდა იყო, როცა ვუყურებდი, ჩემი თანაგუნდელები როგორ ამთავრებდნენ თამაშს და მერე როგორ წააგეს 11-მეტრიანების სერიაში. პენალტების წინ საშინლად ვნერვიულობდი, ვგრძნობდი, რა ძნელი იყო ასეთ თამაშში მათი შესრულება.

ტურნირის დასაწყისი თქვენთვის საკმაოდ მძიმე იყო.



მძიმედ დავინწყეთ, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე ვუმჯობესდით. თავდაჯერება ცოტათი გვაკლდა, ჯგუფური შეხვედრებიც ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ტოვოსთან გამარჯვება ძალიან დავგვხმარა იმ ფსიქოლოგიური წნეხის მოხსნაში, რომელიც 2002 წლის მუნდიალის ფინალის შემდეგ მოგვყვებოდა. ამ გამარჯვებამ საკუთარი თავის რწმენაც შეგვმატა. მერე ესპანეთი დავამარცხეთ, რომელიც ერთ-ერთი ფავორიტი იყო შთამბეჭდავად ჩატარებული ჯგუფური ეტაპის შემდეგ. ესპანელებთან გამარჯვებამ საბოლოოდ დავგიბრუნა ჩვენი ძალების რწმენა. ამასობაში ბრაზილიას დავეჯახეთ და იქ კი ვიცოდი, რომ დასაკარგი უკვე აღარაფერი გვექონდა. ამ თამაშისთვის რაიმე სპეციალური გეგმით არ მოვმზადებულვართ, უბრალოდ, ბრაზილიელებთან თამაში ყოველთვის განსხვავებულია, მათი შემხედვარე, შენც მთავონებული ხარ. თავი ზედმეტი ფიქრით არ დაგვიმძიმებია, უბრალოდ გავედით და ჩვენი ფეხბურთი ვითამაშეთ. არ ვეთანხმები მათ, ვინც ამბობს, ბრაზილიას ზიდანმა მოუგო. მთელმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა.

გულწრფელად გჯეროდით, რომ ფინალში გასვლას შეძლებდით?

ვიცოდი, რომ დიდი გუნდისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი გვექონდა. ტურნირის წინ ერთმანეთს ვეუბნებოდით, რომ თუ საუკეთესო ფსიქო-ფიზიკურ კონდიციებს მივაღწევდით, მაშინ საშუალოდ გზას ბოლომდე გავივლიდით. ასეც მოხდა. თამაშიდან თამაშამდე ვძლიერდებოდით, თუ არ ჩავთვლით მცირედ მოდუნებას პორტუგალიასთან. ამასთან, ყველა შეხვედრაში ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ.

ფინალთან ერთად საფეხბურთო კარიერაც დაასრულეთ. როგორი იყო

ზინედინ ზიდანი ფეხბურთიდან ისე წავიდა, რომ მოუგებელი არცერთი პრესტიჟული ტიტული არ დარჩენია. ბერლინური ფინალის შემდეგ ზინე ახალ ცხოვრებას უწყობს ფეხს. აგვისტოში ის უნისფის საერთაშორისო დესპანე გახდა, ხშირად მოგზაურობს და ისე ჩანს, თავისი ახალი როლი ძალიან მოსწონს. პრესასთან საუბარი ზიდანის საყვარელი საქმე არასდროს ყოფილა და ასე გრძელდება მას შემდეგაც, რაც საფეხბურთო კარიერა დაასრულა. ქვემოთ გთავაზობთ ერთ-ერთ იშვიათ ინტერვიუს, რომელიც ფეხბურთის ფრანგმა ლეგენდამ ფიფას ვებგვერდს დეკემბრის ბოლოს მისცა, როცა ციურისში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოებაზე იმყოფებოდა.



თქვენთვის ახალი ცხოვრების დანყება?

ჩემი კარიერა ისე დასრულდა, როგორც თავად მქონდა გადანიშნული, ასე რომ, უკმაყოფილების მიზეზი არ მქონია. ძნელი მაშინ არის, როცა გადანიშნულებას შენს მაგივრად სხვა იღებს და გეუბნება, რომ დროა წახვიდე. ჩემი კარიერა ისე წარიმართა, როგორც თავად მსურდა. გულწრფელად გითხრათ, ის უფრო წარმატებული გამოდგა, ვიდრე ვოცნებობდი. ამიტომ ჩავთვალე, რომ წახვლისთვის ეს შესაფერისი მომენტი იყო.

კარიერის დასრულება კარგი მომენტია იმისთვის, რომ წარსულს თვალადავლო. როგორ ფიქრობთ, რომელი იყო თქვენი ცხოვრების საუკეთესო თამაში?

ყველაზე ხშირად მახსენდება ის შეხვედრა, როცა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში „აიაქსს“ შეხვდით. 4:1 გავიმარჯვეთ, ორი საგოლე პასი გავაკეთე და ერთიც თავად შევაგდე. თამაშის შემდეგ სტატისტიკას გავეცანი და აღმოვაჩინე, რომ 90 წუთის განმავლობაში ერთი არაზუსტი პასიც კი არ მქონდა გაკეთებული. იმ დამეს ჩემი კარიერის პიკი ვიყავი.

და რომელი იყო კარიერის ყველაზე დიდი მიღწევა?

მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვება. ნებისმიერი ფეხბურთელისთვის ასეა, ყველა გეტყვით, რომ ამაზე დიდი პრიზი ფეხბურთში არ არსებობს. ორმაგად ბედნიერი ვიყავი იმით, რომ მუნდიალი მშობლიურ ქვეყანაში მოვიგე. ამაზე უფრო ბედნიერი უბრალოდ ვერ ვიქნებოდი.

ვინ იყო ყველაზე დიდი ფეხბურთელი, ვის გვერდითაც გითამაშიათ?

როცა რონალდო ფორმაშია, ის შეუდარებელია. ხშირად გაუკეთებია ისეთი რაღაც, რაც ჩემი გოაცებას იწვევდა. ტრავმების გამო კარიერის დიდი ნაწილი უფეხბურთოდ გაატარა. ძნელია იმის თქმა, ისევე დაიბრუნებს თუ არა საუკეთესო ფორმას, მაგრამ ვიცი, რომ ეს შეუძლია. როცა ფორმის პიკზეა, მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოს, რომ განსაკუთრებულად გამორჩეული ტექნიკა არა აქვს, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ბურთით რასაც უნდა, იმას აკეთებს. გარდა ამისა, რამდენიმე ისეთი მონაცემი აქვს, რაც ფეხბურთში იშვიათობაა. უფრო სწრაფად გარბის ბურთიანად, ვიდრე მის გარეშე, არადა მოთამაშეების უმ-

რავლესობა უბურთოდ უფრო სწრაფია. ამასთან, დიდი დამავიგრძელებელია. მოკლედ, რონალდო და ამით ყველაფერია ნათქვამი.

ვინ ითამაშა ყველაზე დიდი როლი თქვენს კარიერაში?

პირველი, ვინც ჩემი შესაძლებლობების ირწმუნა, „კანის“ მწვრთნელი ვარო იყო, რომელიც, სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. ის ძალიან დამეხმარა და სწორ გზაზე დამაყენა. ამის შემდეგ კი უამრავი მწვრთნელი მყავდა, ვინც დიდი დახმარება გამინია. მათი რიცხვი ძალიან დიდია, ჩამოთვლა რომ დავინყო.

თქვენი კარიერა დაახლოებით 15 წელს გაგრძელდა. რომელი იყო ყველაზე დიდი ცვლილება, რომელიც ფეხბურთში ამ წლების მანძილზე მოხდა?

80-იან წლებში ტექნიკა ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. მცველები ტაქტიკურად ნაკლებად განსხვავდებულნი იყვნენ, მეტი სივრცე და ბურთთან მეტხანს ყოფნის საშუალება გქონდა. დღეს ფეხბურთი სხვა არაფერია, თუ არა სწრაფი თამაში და სხარტი აზროვნება. გარდა ამისა, ფეხბურთელები ფიზიკურად უფრო ძლიერები და უფრო ათლეტურები არიან. ფიზიკური სიძლიერე სადღესოდ აუცილებელი პირობაა და თუ ტექნიკაც გაქვს, ისე, როგორც მაგალითად რონალდინიოს, მაშინ ეს იდეალური ვარიანტია. მარტო ტექნიკით დღევანდელ ფეხბურთში გზის გაკაფვა ძალიან ძნელია. თუმცა ვინ იცის, იქნებ წლების შემდეგ სიტუაცია და მოთხოვნები ისევე შეიცვალოს.

ფეხბურთის მომავალზე რომ ვისაუბროთ, თქვენი აზრით, თუ არის რამე, რაც სამომავლო შეცვლას მოითხოვს?

როცა 30 წელს აღწევს, ორგანიზმი დასუსტებისკენ მიდის და სულ უფრო ძნელი ხდება ყოველი შეხვედრისთვის ძალების აღდგენა. განსაკუთრებით დამამძიმებელი ეს მაშინ ხდება, როცა კვირაში სამი შეხვედრა გაქვს ჩასატარებელი. ბოლო წლებში მე ძალიან მიჭირდა. თავის მხრივ, ეს ყველაფერი ფეხბურთის სანახაობრივ მხარეზე ცუდ გავლენას ახდენს. ასე რომ, ალბათ კარგი იქნება, თუკი ის ხალხი, ვისაც ფეხბურთზე ზრუნვა ავალა, მომავალში იმაზეც იფიქრებს, რომ ფეხბურთელებმა ცოტა ნაკლებად ითამაშონ და ამით თამაშს სანახაობრიობა შეუნარჩუნდეს.

გოგა ახალაძე



# საპარტიველოს პარკონული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგინებს

ეროვნული ზეპირი

ხელბურთი. 2008. მასაჩუსეტსი ტურნირი

## გამარჯვებულის გასამართლება



მეკარე შოთა თევზაძე რომ არა, ამ თამაშს ვერ მოვიგებდით!

### საპარტიველო-ბულგარეთი 22:21

საპარტიველო: თევზაძე, სამყურაშვილი; გულაშვილი (3) ჭანტურია (1), ქობელაშვილი (4), ყიფიანი, რუსია (9), კობახიძე, ბოჭორაძე (1), კირილიძე (2), ტალახაძე (2), ნიკოლაიშვილი, ნივნივაძე, ფორაქიშვილი  
ბულგარეთი: ველიზაროვი, ივან ივანოვი; ბოვი (5), ჩერნევი (1), ნიკოლოვი, ბოჭოკოვი (1), რუსკოვი, ჩაკმაკოვი (6), პეტკოვი (2), მიხაილოვი (2), რაჩევი (3), იავორ ივანოვი, იორდანოვი, ვლადკოვი (1)

III რაუნდი	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
რუმინეთი	5	5	0	0	162-122	10
ლატვია	5	4	0	1	156:126	8
საპარტიველო	5	1	0	4	119:155	2
ბულგარეთი	5	0	0	5	116:150	0

21 იანვარი  
რუმინეთი-ლატვია  
ბულგარეთი-საპარტიველო  
პირველი გვერდიდან

მართალია, ფლეი ოფში გასვლის შანსი უკვე გამოტყვევებული გვექონდა, მაგრამ დიდ ხელბურთის მონატრებული ქართველი მაყურებელი მაინც მრავლად მოვიდა სპორტის სასახლეში. არა, ნემსის ჩასავარდნი ადგილი მრავლად იყო, მაგრამ არც მთლად სიხალვთე ყოფილა ტრიბუნებზე. ერთი ეგ არის, კვლავ არ ყოფილა ისეთი ქომავლობა, როგორც ეროვნულ ნაკრებს ეკადრება. გულშემმატიკრობა მხოლოდ იმაში არ გამოიხატება, რომ შენი ნაკრების თითოეული გოლზე და მეტოქის ხელმოცარული შეტევის შემდეგ დასცე ყიფინა. თუ ნაღდი გულშემმატიკრობი ხარ, საკუთარი ნაკრების ქომავლობა მატჩის პირველი ნუთიდან ბოლო წამამდე უნდა შეგეძლოს და ემოციების ხმაშალა გამოხატვის არ უნდა გერიდებოდეს.

ამ მცირე "მოთელვის" შემდეგ, უშუალოდ, საქართველო-ბულგარეთის გუშინდელ მატჩზე გადავიდეთ. შეხვედრა საკმაოდ მდორე ტემპში, ორმხრივი შეცდომებით დაიწყო. მასპინძლებსაც და სტუმრებსაც უამრავი ტექნიკური წუნი ჰქონდათ. სანყის წუთებზე, ზედზე და სამი რთული ბურთი მოიგერია ჩვენი ნაკრების მეკარე შოთა თევზაძემ, რომელმაც ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. ალბათ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გუშინდელი გამარჯვება სწორედ შოთას დამსახურებაა - მან ფაქტობრივად, ყველა ასადები ბურთი მოიგერია და ხშირად ისეთ სიტუაციებშიც გადაგვარჩინა, ასპროცენტური გოლი რომ გვეგონა.

სამართლიანობა მოითხოვს იმის

აღნიშვნასაც, რომ ბულგარელთა მეკარე ნევენ ველიზაროვმაც, რომელიც თევზაძესავით თურქეთის ჩემპიონატში თამაშობს, არაერთხელ გადაარჩინა თავისიანები. თუმცა, გუშინ შოთას უფრო მეტი ჯაფა ადგა და რაც მთავარია, ველიზაროვზე გაცილებით მეტი ბურთი უშუაგდო.

პირველი ოთხი ნუთი უგოლოდ მიილია. ნავსი ბულგარელებმა გატყვეს, რასაც ლევან გულაშვილის მონადირე ბული და მის მიერვე ზუსტად დარტყმული პენალტი მოჰყვა. სტუმრებმა რამდენჯერმე კიდევ მოახერხეს მინიმალური ანგარიშით დანიშნულება, სანამ ჯერ აკაკი ტალახაძემ არ გაათანაბრა, მერე კი გიორგი ქობელაშვილმა დაგვანინაურა - 5:4. ოთხ ნუთში სულაც სამი ბურთით გავედით წინ - ჯერ გულაშვილმა გაეტანა მეკარეს, მერე ქობელაშვილმა გაინაგარდა მარცხენა კუთხიდან და თავისი საფორმო "პარა-შუტი" ჩაუშვა მეტოქის კარში, ბოლოს კი ძელიდან ასხლეტილ ბურთს რუსმა დაამატა და ტაბლოზე 8:5 აენთო.

სამწუხაროდ, ეს მომენტი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ საქართველოს ნაკრებს მატჩში გარდატეხა შეეტანა და პირველ ტაიმშივე გადაეწყვიტა ყველაფერი. ჩვენს გუნდს აშკარად

ეტყობოდა ნერვიულობა და ზედმეტად ჩქარობდა, რის გამოც არაერთხელ დავკარგეთ ბურთი სრულიად უწყინარ სიტუაციებში. შესაბამისად, არათუ სოლიდური ანგარიშით დანიშნულება, სამბურთიანი ფორაც მალევე გავანიავეთ. ტაიმის დასრულებამდე 5 წამით ადრე, ისევე რუსიამ მოახერხა რთული სიტუაციიდან გოლის შეგდება და შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით დავინიშნაურდით - 13:12.

ალსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში, საქართველოს ნაკრებიდან გოლის გატანა მხოლოდ ოთხმა ხელბურთელმა (გულაშვილი, ქობელაშვილი, ტალახაძე, რუსია) მოახერხა. აქედან, თითქმის ნახევარი, 6 გოლი მოდიოდა რუსიანზე, რომელიც გუშინ მთლად უნაკლო არ ყოფილა, მაგრამ თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი გოლი გაიტანა და რამდენიმე საკვანძო მომენტში...

მეორე ტაიმი ჩვენმა ხელბურთელებმა პირველზე გაცილებით უკეთ დანიწყეს. ჯერ იყო, ქობელაშვილმა გადაუგდო მეტოქეს მეკარეს თავზე მოთმორიგი ბურთი, მერე სერგეი კიროლოვმა მეტოქის მცველებთან ჯაფგურში ზედიზედ ორჯერ გაიტანა, შემდეგ რეზო ჭანტურიამაც შეაგდო ამ

მატჩში თავისი პირველი გოლი და კვლავ სამი ბურთით დავინიშნაურდით - 17:14. იქვე, კიდევ ერთი უნდა გავგეტანა, მაგრამ გულაშვილმა პენალტი ვერ გამოიყენა.


ჩვენდა სამწუხაროდ, კვლავ ვერ შევირგეთ უპირატესობა და სტუმრებმა მინიმუმამდე შეამცირეს სხვაობა. სწორედ ამ მომენტში შემოვიდა მოედანზე ვეტერანი ალექსანდრე ბოჭორაძე, რომელმაც გუშინ თავისი უკანასკნელი მატჩი გამართა საქართველოს ნაკრებში. რუსიას გოლს ბოჭორაძემაც მიაყოლა (ეს მისი ბოლო სანაკრებო გოლი აღმოჩნდა) და სამგოლიანი სტატუს-ქვო აღდგა - 19:16. ამის შემდეგ, მატჩის ბოლო წამამდე წინ ვიყავით და სტუმრებისთვის ანგარიშის გათანაბრების შანსი აღარ მიგვიცია. თუმცა, სხვაობა მუდმივად 1-2 ბურთი იყო, დამშვიდებულად ყოფნის საშუალება არ მოგვცემია.

როგორც ასეთი შეხვედრებში ხდება ხოლმე, ყველაზე დრამატული ბოლო ნუთები გამოდგა. ამ დროს მოედნის მიღმა ც დაიძაბა სიტუაცია. კერძოდ, ბულგარელთა საკმაოდ ემოციურმა თავკაცმა იოსიფ პეტკოვიმაც არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება მსაჯობით და იმდენი ქნა, არბიტრებს ყვითელი ბარათი დასატყუა. მერე ტაბლოთივ გამოთქვა უკმაყოფილება, რუსიას გაძევებისას დრო არ შეაჩერესო. თავად ხელბურთელებიც ანერვიულდნენ და ჯერ ბულგარელი მოთამაშე გააძვეს ორი ნუთით, მერე რუსიაც გაუყენეს მის გზას.

მატჩის დასრულებამდე ორი ნუთი რჩებოდა, როდესაც აკაკი ტალახაძემ მეტოქის დაცვაში ნაპრალი მოძენა და როგორც ოდნავ მოგვიანებით აღმოჩნდა, გამარჯვების გოლი შეაგდო - 22:20. დარჩენილ დროში ბულგარელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს. მატჩის დასრულებამდე ნახევარ ნუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა, როცა ბურთი მოვიპოვეთ, შეტევაში მაქსიმალურად გავწელეთ დრო და შეხვედრის გამარჯვებამდე მიყვანა შეეძქელით.

მოკლედ, გვარინად კი გვანერვიულეს ჩვენმა ხელბურთელებმა, მაგრამ მაინც მოახერხეს ამ საკვალიფიკაციო ციკლში პირველი ორი ქულის აღება. შესაბამისად, სატურნირი ცხრილში მესამე ადგილზე კი ავიწაცვლეთ, მაგრამ საკითხავია, შევძლებთ თუ არა, ამ პოზიციის შენარჩუნებას? ბოლო მატჩი ხომ ბულგარეთში გვაქვს, სადაც ასეთი თამაშით გამარჯვება ძალიან გავციქრდება. ისევე მეკარე თუ გადაგვარჩენს...

წვებარ სპარტის ფოტოაზი



ალექსანდრე ბოჭორაძე ნაკრებს გამოუთხოვია

### თავაზის შავლა ბოლო გოლი, ბოლო მატჩი

საპარტიველოს ნაკრების ბანაკში, რაღა თქმა უნდა, სიხარული სუფევდა. ნაკრების წევრებმა ჯერ გულშემმატიკრობის აპლოდისმენტები მიიღეს, მერე კი ალექსანდრე ბოჭორაძე ააბურთავეს ჰაერში, რითაც 34 წლის ვეტერანს მადლობა გადაუხადეს ხანგრძლივი სანაკრებო კარიერისთვის. ემოციების დასრულების შემდეგ, ბოჭორაძესა და საქართველოს ნაკრების მწვრთნელს, მერაბ მებრეველს გავესაუბრეთ.

#### ალექსანდრე ბოჭორაძე:

- ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ, ძალიან გვიწოდდა საკუთარი გულშემმატიკრობის წინაშე გავგეტყუა ნავსი. ბიჭები იმდენად იყვნენ გამარჯვებისთვის მონდომებულები, რომ ზედმეტად ბევრს ნერვიულობდნენ და ამის გამო ხშირად ცდებოდნენ. საქართველოს ნაკრები, ძირითადად, ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული, გამარჯვებას კი სწავლა უნდა და დღეს მათ ამ სასწავლო პროცესში პირველი ნაბიჯი გადადგეს. მინდა, მადლობა ვუთხრა მთელ გუნდს იმისთვის, რომ საშუალება მომცეს, ნაკრებში თამაში გამარჯვებით დამსრულებინა.

ბულგარეთთან ბოლო მატჩში აღარ ვითამაშებ, მაგრამ იმედი მაქვს, საქართველოს ნაკრები უჩვეულოდ გაიმარჯვებს. სანაკრებო კარიერა დღეს დავასრულე, ამის შემდეგ კი, სანამ ჯანი მერჩის, სტუ-შეგარდენში" ვითამაშებ საქართველოს ჩემპიონატსა თუ ევროთასებზე.

#### მერაბ მებრეველი:

- გამარჯვებით, რაღა თქმა უნდა გახარებული ვარ, მაგრამ თამაშის ხარისხით ნამდვილად არ ვარ აღფრთოვანებული. უამრავი შეცდომა და ვუშვით - ბულგარეთთან საკუთარ მოედანზე გამარჯვება ასე არ უნდა გავგვირგებოდა. თუმცა, ამას თავისი ობიექტური მიზეზიც აქვს. მოგეხსენებათ, მოსამზადებლად მხოლოდ ერთი თვე გვექონდა, ხოლო მატჩები საკმაოდ მჭიდრო ვადაში გაიმართა. ორ კვირაში მუდამ მატჩი ჩავატარეთ და ფიზიკურად ამისთვის სათანადოდ მომზადება ვერ მოვასწარით. მიუხედავად ამისა, მაინც მჯერა, რომ ბულგარეთშიც მოვიგებთ.

რაც შეეხება მსაჯობას, ბულგარელები უკმაყოფილონი კი დარჩნენ, მაგრამ მე ასე არ ვფიქრობ. არბიტრები საკმაოდ ობიექტურად სჯიდნენ შეხვედრას და მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა ნამდვილად არ მოუხდენიათ. დღეს საქართველოს ნაკრებში თავისი უკანასკნელი მატჩი ჩაატარა ალექსანდრე ბოჭორაძემ, რომელიც კარგად ჩაერთო თამაშში. მინიშნელოვანი გოლიც გაიტანა და ვალმოხდელი ეთხოვება გუნდს, რისთვისაც მადლობას ვუხდით. ბულგარეთთან განმეორებით შეხვედრაში მის ადგილს ლევან ბერძენიშვილი დაიკავებს.



ლევან გულაშვილის შეტევა



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგინოს

ეროვნული  
ზიზიროთქა

## კალთბურთი

ლეგიონერი. გიორგი ცინცაძე

# 8 საჯარიმო და 11068 ხმა

**გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკი" ბალტიის თასზე 2007 წელს წაუგებლად ასპარეზობს - ესტონელებმა მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში სტუმრად ლიტვის "ატლეტასი" დაამარცხეს (94:91). ანგარიშიც ნათლად მეტყველებს, რომ შეხვედრა დაძაბული იყო. მართალია, როკერები მთელი 39 წუთის განმავლობაში წინ იყვნენ, მაგრამ მასპინძლებმა სირენამდე 1 წამით ადრე ანგარიშის გათანაბრება შეძლეს (80:80) - **ტრაიზმა** ორქულიანი გამოიყენა.

ოვერტიმში გიორგი ცინცაძის ჯერი დადგა. ჯერ **დორონინმა** მისი პასით სხვაობა სამ ქულამდე გაზარდა (90:87), ხოლო უკანასკნელ წამებზე გიორგიმ

ოთხი საჯარიმო უშეცდომოდ სტყორცნა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა - 94:91.

ცინცაძემ მან 27 წუთი ითამაშა და მარგი ქმედების კოეფიციენტით (16) მხოლოდ დორონინს (17) ჩამორჩა. ოთხჯარიმაზე უკვე მოგახსენეთ, გარდა ამისა, "ბუმ" 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და 10 ქულას, 6 მოხსნას, 6 პასსა და 1 ჩაჭრას მოუყარა თავი.


ვიდრე სატურნირო მდგომარეობას გაგაცნობდეთ, ბალტიის თასის ვარსკვლავთა მატჩზე ვიტყვი, რომელიც 3 თებერვალს კაუნასში გაიმართება. გამოკითხვაში გიორგის სადღეისოდ 11068 ხმა აქვს, რაც ძირითად ხუთეულში

მოხსახვედრად საკმარისი არ არის. ქართველს ორი უკანასკნელი, **მარკო პოპოვიჩი** (რიტასი, 14 575 ხმა) და **კურტის მილაგე** (რიგა, 13 989) უსწრებს. თუმცა ცინცაძეს "ოლ სტარში" სათანადო მოხვედრის კარგი შანსი აქვს.

ბალტიის თასი, მე-2 ჯგუფი, მე-3 ტური. 1. **ტარტუ როკი (ესტონეთი)** - 3 **მოგება**, 2. კალევი (ესტონეთი) - 2 / 3. ნევეჟისი (ლიტვა) - 2, 4. საკალი (ლიტვა) - 1, 5. ნეპტუნასი (ლიტვა) - 1, 6. პანევეჟისი (ლიტვა) - 1, 7. ვალმირა (ლატვია) - 1, 8. ატლეტასი (ლიტვა) - 0.

ქვემოთ გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი ცინცაძესთან.

## საომ



მეცამეტე დღე. კოკაი (მარცხნიდან მეორე) დასავლეთის ფალანგების წარდგენისას

# ნაგაზა მონარქის თვალნი

ინაზრის ბაშოს დასრულებამდე ორი დღე დარჩა. ელიტის ერთადერთ ქართველ ფალანგს მეტად რთული ამოცანა აქვს გადასაჭრელი - მან დარჩენილი ორივე ორთაბრძოლა უნდა მოიგოს, რომ ტურნირი დადებითი ბალანსით დაასრულოს.

გუშინ **კოკაიმ** ზღვიზდ ოთხი მოგების შემდეგ მეცხრე მაგვამირა **კაკიძესთან** ნააგო და ბალანსი კვალ უარყოფითი გაუხდა - 6-7, ნაგებების ლიმიტი ამონურულია. კოკაი კაკიძესთან ომიდაში დაამარცხდა. ორივემ ჯიქურ შეუტია, თუმცა კაკიძემ იძალა და მეტოქეს მიანვა, აქ კოკაიმ იაპონელი პიკოტოშიზე დაიჭირა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარცხე-ნა ფეხი დოპიოს მიღმა დააბიჯა. სხვათა შორის, ამ ბრძოლას, ისევე, როგორც დღის განმავლობაში გამართულ სხვა შეხვედრებს თავად იაპონიის იმპერატორი დაესწრო. დღეს კოკაის მერვე მაგვამირა **ტაკეკაძე** დავიძლება. ქართველს მასთან უარყოფითი ბალანსი აქვს - 1:2.

მონღოლ **ასაშორიუს** კი იმპერატორის თასის მეოცედ მოპოვებამდე მხოლოდ ერთი კაციღა თუ შეუშლის ხელს - მეცხრე მაგვამირა **ტოიონოშიმა**, რომელსაც ერთი ნაკლები, 11 მოგება აქვს. ოქეკი **ტოიონოშიმა**, რომელიც ბაშოზე ნაოპერაციები მუსლით გამოვიდა, მომავალ ტურნირზე ტიტულის დაცვა მოუნწეს, რადგან გუშინ მერვე მარცხი იგება და უარყოფითი ბალანსიც გაინაღდა.

პროფესიულ კარიერაში ბაშო პირველად დაასრულა უარყოფითი ბალანსით **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ), რომელმაც გუშინ ბოლო ბრძოლა **ჰოშიკაძესთან** ნააგო - 3-4. გაგამარუ მაკუმიტას დივიზიონის 24-ე ნომერი იყო და აუცილებლად დაქვეითდება. თეიმურაზი ბაშოს მოუშადადებელი შეხვედა, რადგან მამა გარდაეცვალა და მხოლოდ ტურნირის წინა დღეს მოახერხა ტოკიოში ჩასვლა.

ნიკოლოზ ნეშარიძე

## ინაზრის სპეკულაციები

საქუ ბაშო  
7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)  
XII დღე: კოკაი - კაკიძე 0:1 (ომიდაში, 8:4 ნამი), ასაშორიუ - კაიო 1:0, ჩიოტაკი - ამა 1:0, კოტომიცუკი - შაკუპო 1:0, კოტომიუ - ტოჩიძე 1:0, შიბაბა - ამინიშიკი 1:0, ტოკიტენუ - კისენოსატო 1:0, კოტომიოკუ - რომო 1:0, ტოიონონა - დეჯიმა 1:0, ტაკამისაკარი - კოკუტენუ 1:0, შომაშო - ტამანოშიმა 1:0, ტოიონოშიმა - უშიომარუ 1:0. სატურნირო მდგომარეობა: 12-1: ასაშორიუ (იოკოჰანა); 11-2: ტოიონოშიმა (მაგვამირა 9); 9-4: ჩიოტაკი (ოქეკი), კოტომიუ (ოქეკი), ტამანოშიმა (მ 14); ... 6-7: კოკაი (მ 5).  
